ხელშეკრულების სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N 3/235 კ

წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო 2012 წლის 18 მაისს, ერთის მხრივ **სსიპ „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო“** (შემდგომში „შემსყიდველი“) წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის ნიკოლოზ ვაჩეიშვილის სახით და მეორეს მხრივ, **სააპ „თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია“** (შემდგომში „მიმწოდებელი“) წარმოდგენილი მისი კანცლერის კახა ტრაპაიძის სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახაბ“ საქართველოს კანონის და კონკურსანტის საკონკურსო წინადადების საფუძველზე.

შემსყიდველმა ჩაატარა კონკურსი **N 287 იფარის (მესტიის მუნიციპალიტეტი) წმ. გიორგის სახელობის ეკლესიის მოხატულობის წინასაპროექტო შეფასების მომსახურების** შესყიდვაზე (**CPV** კოდი 71300000), რომელშიც გამარჯვებულად მიჩნეული იქნა მიმწოდებლის წინადადება, რომლის თანახმად მიმწიდებელმა აიღო ვალდებულება გაუწიოს შემსყიდველს აღნიშნული მომსახურება შემდეგ თანხაზე: 12000,00 (თორმეტი ათასი) ლარი ყველა გადასახადის ჩათვლით (შემდგომში „ხელშეკრულების ღირებულება“).

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომ _ „ხელშეკრულება“) _ შემსყიდველ ორგანიზაციასა და კონკურსში გამარჯვებულ კონკურსანტს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2 „ხელშეკრულების ღირებულება“ ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.3 „შემსყიდველი ორგანიზაცია“ (შემდგომ „შემსყიდველი“) ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.4 „მიმწოდებელი“ ნიშნავს პირს, რომელმაც მოიპოვა გამარჯვება კონკურსში და უზრუნველყოფს მომსახურების გაწევას სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;

1.5 „დღე“, „კვირა“, „თვე“ ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

2. შესყიდვის ობიექტი

2.1 შესყიდვის ობიექტია იფარის (მესტიის მუნიციპალიტეტი) წმ. გიორგის სახელობის ეკლესიის მოხატულობის წინასაპროექტო შეფასების მომსახურება, რომელიც განისაზღვრება საკონკურსო დოკუმენტაციის, კერძოდ ტექნიკური დავალების შესაბამისად, თან დაერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

3. მომსახურების გაწევის პირობები

3.1. წინასაპროექტო დოკუმენტაციის მიწოდება განხორციელდება მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადების საფუძველზე.

3.2. წარმოდგენილი საკონკურსო წინადადების მიხედვით მიმწოდებელი წინასაპროექტო დოკუმენტაციის მიწოდებას უზრუნველყოფს ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 2012 წლის 25 მაისის ჩათვლით.

3.3. საპროექტო დოკუმენტაციის მიწოდების ადგილი _ ქ. თბილისი, ათონელის #27 (სანაპიროს მხრიდან).

4. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

4.1 შემსყიდველს ან მის წარმომადგენლებს უფლება აქვთ ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე და განახორციელოს მომსახურების ხარისხის პერიოდული ინსპექტირება.

4.2 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით შემსყიდველი.

4.3 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

4.4 ამ მუხლის არც ერთი პუნქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს მოცემული ხელშეკრულების სხვა ვალდებულებებისაგან.
4.5 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს სსიპ „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს" თანამშრომლები: პაატა გაფრინდაშვილი, გიორგი მისრიაშვილი, დავით ტყეშელაშვილი.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. გაწეული მომსახურების მიღება განხორციელდება მომსახურების გაწევის შემდეგ, მხარეთა მიერ შედგენილი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე (შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმებაზე უფლებამოსილ პირ(ებ)ს წარმოადგენენ წინამდებარე ხელშეკრულების პირობების 4.5 მუხლში მითითებული პირები).
5.2.შემსყიდველი ამოწმებს მიმწოდებლის მიერ დამუშავებულ და წარმოდგენილ საპროექტო დოკუმენტაციის სრულყოფილებას, მიმწოდებლის მიერ შესაბამისი დოკუმენტების წარმოდგენის დღიდან 7 (შვიდი) სამუშაო დღის ვადაში.
5.3. თუ პროექტი არ შეესაბამება წინამდებარე ხელშეკრულების პირობებს, შესყიდველი დადგენილი წესის შესაბამისად მიმწოდებელთან ერთად ან მის გარეშე ადგენს აქტს.
5.4. შემსყიდველს უფლება აქვს ინსპექტირების დასკვნის საფუძველზე დაუბრუნოს მიმწოდებელს ხარვეზიანი საპროექტო დოკუმენტაცია.
5.5. მიმწოდებელი ვალდებულია წუნის (დეფექტების) აღმოჩენის შესახებ შესაბამისი აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში აღმოფხვრას ინსპექტირების შედეგად აღმოჩენილი დეფექტები.
5.6. თუ შემსყიდველმა წარმოდგენილი დოკუმენტაცია შეაფასა წუნით, დასრულებულად ჩაითვლება სამუშოები დეფექტების აღმოფხვრის შემდეგ.
5.7. მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმების პარალელურად, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოუდგინოს შემსყიდველს შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია (მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად).

6. ანგარიშსწორება

6.1 ანგარიშსწორება მოხდება ლარებში სსიპ „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს" 2012 წლის ბიუჯეტის სახსრებით.
6.2 გადახდის ფორმა – უნაღდო.
6.3 გაწეული მომსახურების ანგარიშსწორება განხორციელდება მხარეთა მიერ შედგენილი საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის მიხედვით;
6.4. ანგარიშსწორება მოხდება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაციის წარდგენიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში.
6.5. <u>წინასწარი ანგარიშსწორების შემთხვევაში მიმწოდებელი ვალდებულია, წარმოადგინოს ავანსის სახით გადასახდელ თანხაზე (არაუმეტეს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 30 %-ისა) საავანსო საბანკო გარანტია,</u> რომლის მოქმედების ვადა 60 კალენდარული დღით უნდა აღემატებოდეს შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადას.

7. ფასები

7.1 მიმწოდებლის მიერ დაფიქსირებული გასაწევი მომსახურების ფასი წარმოადგენს ხელშეკრულების ღირებულებით პარამეტრებს.
7.2 ხელშეკრულების ღირებულებითი პარამეტრების შეცვლა ხელშეკრულების მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში დაუშვებელია.
7.3 ხელშეკრულების ღირებულებითი პარამეტრების შეცვლა დასაშვებია მხარეთა შეთანხმებით.
7.4 ხელშეკრულების ღირებულებითი პარამეტრების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.
7.5 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობის გაზრდა.

8. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

8.1. შემსყიდველი და მიმწოდებელი მოქმედებენ საქართველოს კანონმდებლობის სრული დაცვით.

8.2 შემსყიდველი ვალდებულია:
8.2.1. დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები;
8.2.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევისას აცნობოს მიმწოდებელს ყველა განსაკუთრებული გარემოებების წარმოშობის შესახებ;
8.2.3.ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად აუნაზღაუროს მიმწოდებელს გაწეული მომსახურების ღირებულება.
8.3. შემსყიდველს უფლება აქვს:
8.3.1განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებების პირობების დაცვაზე;
8.3.2. განახორციელოს კონტროლი წინასაპროექტო დოკუმენტაციის შედგენისას;
8.3.3. მიიღოს მიმწოდებლისგან სათანადო წესით გაფორმებული წინასაპროექტო- დოკუმენტაცია.
8.3.4. საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შეაჩეროს ან შეწყვიტოს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ დადებული ხელშეკრულების მოქმდება, თუ მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები ყალბი აღმოჩნდება;
8.4. მიმწოდებელი ვალდებულია:
8.4.1. დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები;
8.4.2. დააკმაყოფილოს შემსყიდველის მოთხოვნა დამატებითი მონაცემების წარმოდგენის შესახებ კანონმდებლობით დადგენილი წესით;
8.4.3. წინასაპროექტო დოკუმენტაციაზე რაიმე შენიშვნების აღმოჩენის შემთხვევაში შეტყობინების მიღებისთანავე აღმოფხვრას იგი, შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯების გაწევის გარეშე;
8.4.4. წინასაპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით, სამშენებლო სამუშაოების განხორციელების დროს წარმოქმნილი დამატებითი სამუშაოების აუცილებლობის შემთხვევაში, შეიტანოს შესაბამისი კორექტირება წინასაპროექტო დოკუმენტაციაში შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯების გაწევის გარეშე.
8.5 წინასაპროექტო დოკუმენტაცია წარადგინოს 4 (ოთხ) ეგზემპლარად, აგრეთვე პროექტი ელექტრონული სახით ტექნიკური დავალებით განსაზღვრულ ფორმატში.
8.6. მიმწოდებელს უფლება აქვს:
8.6.1. მოსთხოვოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება.

9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

9.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხრის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.
9.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.
9.3 ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის და ამ დებულების მოთხოვნათა გათვალისწინებით.
9.4 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

10. უფლებების გადაცემა

10.1 მიმწოდებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მოცემული ხელშეკრულებით არსებული თავისი ვალდებულებები მესამე პირს.

11. სუბკონტრაქტორები

11.1 ხელშეკრულების გაფორმების შემდგომ მიმწოდებელმა წერილობით უნდა აცნობოს შემსყიდველს სუბ-კონტრაქტორ(ებ)ის აყვანის ან შეცვლის შესახებ (სუბ-კონტრაქტორის აყვანის აუცილებლობის მიზეზების დასაბუთებით). სუბ-კონტრაქტორ(ებ)ის დასაშვებობის საკითხს წყვეტს შემსყიდველი და მიმწოდებელი ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე, რომელიც გაფორმდება წერილობითი ფორმით წინადებარე ხელშეკრულების დამატების სახით.
11.2 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული ყველა სუბკონტრაქტის ასლი უნდა წარედგინოს შემსყიდველს.

11.3 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული არც ერთი სუბკონტრაქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

12. ხელშეკრულების შესრულების გარანტია

12.1 ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით გამოყენებულია საბანკო გარანტია - #1982806-2125482 გაცემული 2012 წლის 18 მაისს სს „თიბისი ბანკი"-ს მიერ თანხით 600,00 (ექვსასი) ლარი ხელშეკრულების ღირებულების 5 (ხუთი) %-ის ოდენობით, რომლის მოქმედების ვადაა 2012 წლის 15 აგვისტო.
12.2 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების დარღვევის (ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებაზე უარის თქმა, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების დარღვევა, ვალდებულების უხარისხოდ, არაჯეროვნად, არასრულად შესრულება და სხვა) შემთხვევაში, მიმწოდებელს საბანკო გარანტიით გათვალისწინებული თანხა არ დაუბრუნდება).
12.3 მიმწოდებელს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველსაყოფად გაცემული საბანკო გარანტია, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების სრული და ჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, დაუბრუნდება მხარეთა შორის შესყიდვის ობიექტის საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 5 (ხუთი) კალენდარული დღის ვადაში.
12.5 მიმწოდებლისაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია მიმწოდებლის მოთხოვნისთანავე დაუბრუნოს მას ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია.

13. გარანტია

13.1. წინასაპროექტო დოკუმენტაციის ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს სამშენებლო ნორმებითა და წესებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, აგრეთვე ტექნიკურ დავალებაში მითითებულ მოთხოვნებს;
13.2. შემსყიდველი ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს მიმწოდებელს ექსპერტიზის გავლის შედეგად წინასაპროექტო დოკუმენტაციაში რაიმე წუნის (ხარვეზის) აღმოჩენის შესახებ.
13.3. შეტყობინების მიღების შემდეგ მიმწოდებელი ვალდებულია 5 სამუშაო დღის განმავლობაში საკუთარი ხარჯებით აღმოფხვრას წინასაპროექტო დოკუმენტაციაში აღმოჩენილი წუნი (ხარვეზი).
13.4. ნებისმიერი პრობლემა, რომელიც წარმოიქმნება სამუშაოების პროცესში საპროექტო ორგანიზაციის არაკვალიფიციურად დასახული ამოცანის შედეგად და აღმოჩნდება, რომ ამის გამო სამუშაოების ღირებულება იზრდება, მიმწოდებელი (საპროექტო ორგანიზაცია) ვალდებულია აანაზღაუროს ასეთი გარემოებით გამოწვეული სამუშაოები.

14. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

14.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან შესრულების ვადის გადაცილებისათვის დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.3%-ის ოდენობით.
14.2 ხელშეკრულების არაჯეროვნად შესრულებისას ინსპექტირების ჯგუფის მიერ წუნის (დეფექტების) აღმოჩენის შემთხვევაში საჯარიმო სანქციების ათვლა მოხდება შესაბამისი აქტის გაფორმების თარიღიდან.
14.2 იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 5 (ხუთი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება.
14.2 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისგან.

15. ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო

15.1 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში შესმყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ.
15.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.
15.3 ხელშეკრულების შეწყვეტა პირობების დარღვევის გამო არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან.
15.4 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:
ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;
ბ) მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;

გ) თუ მისთვის ცნობილი გახდება, რომ მიმწოდებლის საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები ყალბი აღმოჩნდება;
დ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.
15.5 ამ მუხლის მე-5 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად გაწეული მომსახურების ღირებულება.
15.6 შემსყიდველი უფლებამოსილია მთლიანად ან ნაწილობრივ ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება, თუკი მიმწოდებლის მხრიდან შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადების დარღვევის პერიოდი აღემატება 15 კალენდარულ დღეს.

16. ფორს-მაჟორი

16.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.
16.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.
16.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

17. სადაო საკითხების გადაწყვეტა

17.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.
17.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის და მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს, თუ ხელშეკრულების პირობებში სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

18. გამოყენებული სამართალი

ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

19. ხელშეკრულების ენა

ხელშეკრულება შედგენილი უნდა იქნეს ქართულ ენაზე, ოთხ ეგზემპლარად, თითოეულ მათგანს გააჩნია თანაბარი იურიდიული ძალა. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების მეორე მხარე არის უცხო ქვეყნის წარმომადგენელი, მაშინ მეორე ეგზემპლიარი ითარგმნება მიმწოდებლისათვის მისაღებ ენაზე. ინტერპრეტაციისას ქართულ ენაზე დაწერილი ხელშეკრულება წარმოადგენს გადამწყვეტს. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული მთელი წერილობითი მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც გაიცვლება მხარეთა შორის, უნდა შეესაბამებოდეს აღნიშნულ პირობებს.

20. შეტყობინება

20.1 ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, ტელექსის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.

20.2 შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

21. გადასახადები და დაბეგვრა

21.1 უცხოელი მიმწოდებელი პასუხს აგებს მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული ყველა იმ გადასახადის, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე, რომლებიც გადასახდელია საქართველოს ფარგლებში და მის გარეთ.

21.2 ადგილობრივი მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე, თუ ხელშეკრულების პირობებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

22. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა მიერ ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან, 2012 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

23. სხვა პირობები

23.1 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

23.2 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

23.3 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, სამ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი მიმწოდებელთან და სამი პირი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

23.4 გამარჯვებული კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება და დანართები თან ერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

23.5 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

შემსყიდველი	მიმწოდებელი
სსიპ „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო“	ააიპ „თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია“
მის: ქ. თბილისი, თაბუკაშვილის #5	ქ. თბილისი, გრიბოედოვის ქ. #22
სახელმწიფო ხაზინა	ს.ს. „თიბისი ბანკი“
კოდი: 220101222	ბანკის კოდი TBCBGE22
ა/ა # 200122900	ა/ა # GE84TB4980634080100001
ს/კოდი: 204562311	ს/კოდი 203851545
გენერალური დირექტორი	კანცლერი
ნიკოლოზ ვაჩეიშვილი	კახა [illegible]ძე

იფარის (მესტიის მუნიციპალიტეტი) წმ. გიორგის სახელობის ეკლესიის მოხატულობის წინასაპროექტო შეფასების მომსახურების შესყიდვაზე

ტექნიკური დავალება

❖ პრეამბულა

იფარის (მესტიის მუნიციპალიტეტი) წმ. გიორგის სახელობის XII საუკუნის ეკლესიას ერთ-ერთი გამორჩეული ადგილი უჭირავს ერთიანად მოხატულ სვანურ ეკლესიებს შორის. ტაძრის ინტერიერის მთავარ ღირსებას თანადროული კედლის მხატვრობა წარმოადგენს.

❖ მიზანი და ძირითადი პირობები

კონკურსის მიზანია კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის რეაბილიტაციის გადაწყვეტის საუკეთესო წინადადების გამოვლენა.

❖ წინასაპროექტი შეფასება უნდა ემსახურებოდეს შემდეგი ძირითადი მიზნის მიღწევას:
იფარის წმ. გიორგის სახელობის ეკლესიის კედლის მხატვრობის კონსერვაციისათვის მრავალდარგობრივ კვლევაზე დაფუძნებული წინასაპროექტო შეფასებითი დოკუმენტაციის მომზადებას.

სამუშაო უნდა განხორციელდეს ინტერდისციპლინარული ჯგუფის მიერ, რომლის შემადგენლობაშიც საჭიროებისამებრ შევლენ მხატვრობის რესტავრატორი, არქიტექტურის რესტავრატორი, კონსტრუქტორი, ხელოვნების ისტორიკოსი, გეოლოგი, კლიმატოლოგი, ქიმიკოსი, ბიოლოგი და ძეგლის დაზიანების სპეციფიკიდან გამომდინარე, შესაბამისი დარგის სპეციალისტები.

❖ კონკურსის მონაწილეთა საავტორო უფლებები და საკონკურსო მასალების კუთვნილება

საკონკურსო მასალები გადადის კონკურსის მომწყობის საკუთრებაში. მას უფლება აქვს გამოიყენოს ისინი თავისი შეხედულებისამებრ, საავტორო უფლებების შესახებ კანონმდებლობის დაცვით.

❖ ჩასაბარებელი სამუშაო განისაზღვრება დოკუმენტაციის შემდეგი შემადგენლობით:

- კედლის მხატვრობის დაზიანებათა ზუსტი იდენტიფიკაცია (ლაბორატორიულად დადგენილი დაზინებების სახეობები და სხვა);
- წინარე ჩარევების განსაზღვრა, (ასეთის არსებობის შემთხვევაში) რამაც იმოქმედა ძეგლის ამჟამინდელ მდგომარეობაზე;
- კომპლექსური დასკვნა (ძეგლის არქეოლოგიური, გეოლოგიური და ჰიდროლოგიური მდგომარეობის საერთო სურათი და ძეგლის მდგომარეობაზე ზემოქმედების მქონე სხვა კომპონენტების შეფასება);
- მოხატულობის დაზიანებებსა და კვლევის შედეგად გამოვლენილი მდგომარეობის ანალიზზე დაყრდნობით მხატვრობის საკონსერვაციო სამუშაოების მეთოდოლოგიის განსაზღვრა და რეკომენდაციები დაზიანებათა აღმოფხვრისათვის;
- ავთენტურ მასალასთან თავსებადი საკონსერვაციო მასალების თანამედროვე საერთაშორისო საკონსერვაციო გამოცდილების შესაბამისად შერჩევა;
- ხელოვნებათმცოდნის რეკომენდაციები ძეგლის მხატვრულ-ისტორიული ღირებულების გათვალისწინებით დასაშვები ჩარევის შესახებ;
- მოხატულობის საერთო მოცულობის ზუსტად განსაზღვრა;
- კედლის მხატვრობის არსებული მდგომარეობიდან და დაზიანებებიდან გამომდინარე, მისი გაჯანსაღებისათვის აუცილებელი საკონსერვაციო სამუშაოებისა თუ აქტივობების ჩამონათვალი;
- კონსერვაციისათვის საჭირო სამუშაოებისა თუ აქტივობების სავარაუდო ხარჯთაღრიცხვა;
- ზემოთჩამოთვლილი პუნქტები (ნებისმიერი სახის შეფასება თუ დასკვნა) უნდა ემსახურებოდეს საერთო მიზანს – ძეგლის არსებული მდგომარეობისა და მისი გაჯანსაღების გზების დახასიათებას;
- ყველა თემა და დასკვნა უნდა იყოს შესაბამისად დასაბუთებული და ადექვატურად ილუსტრირებული.

მულტიდისციპლინარულ კვლევებზე დაფუძნებული დასკვნა უნდა შეესაბამებოდეს თანამედროვე საერთაშორისო საკონსერვაციო გამოცდილებასა და სტანდარტს (შესაბამისი კონვენციები: 1. კონვენცია მსოფლიო ბუნებრივი და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ (მსოფლიო მემკვიდრეობის კონვენცია), პარიზი, 1972; 2. კონვენცია ევროპის არქიტექტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ, გრანადა, 1985 3. კონვენცია კულტურული გამოხატვისა და მრავალფეროვნების დაცვისა და ხელშეწყობის შესახებ, პარიზი, 2005; 4. კონვენცია ევროპული კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ, პარიზი, 1954; 5. კონვენცია „საზოგადოებისათვის კულტურული მემკვიდრეობის მნიშვნელობის შესახებ", ევროპის საბჭოს ჩარჩო, ფაროსი, 2005. ასევე ICOMOS-ის საფუძვლები კედლის მხატვრობის რესტავრაციისა და კონსერვაციისათვის, ICOMOS-ის გენერალური ასამბლეა, 2003 წლის ოქტომბერი).

<u>დამკვეთი იტოვებს უფლებას, ტექნიკური დავალებისა და საკონკურსო წინადადების საფუძველზე დააზუსტოს მოთხოვნები მისაღები (დასამუშავებელი) პროდუქციის მიმართ.</u>

❖ **დამკვეთისათვის გადასაცემი საბოლოო პროდუქცია**

წარმოდგენილი პირობებისა და ვადების ფარგლებში მიმწოდებელმა საბოლოო პროდუქციის სახით დამკვეთს უნდა გადასცეს შესრულებული სამუშაოები (იფარის წმ. გიორგის სახელობის ეკლესიის კედლის მოხატულობის წინასაპროექტო შეფასება).

საბოლოო პროდუქცია დამკვეთისათვის წარმოდგენილი უნდა იყოს ალბომის სახით (3 ეგზ.) და ელექტრონულ ფორმატში კომპაქტური დისკების სახით (CD 3 ეგზ.).

წინასაპროექტო დოკუმენტაციის მიწოდების საბოლოო ვადაა 2012 წლის 25 მაისი.

იშარის წმ. გიორგის სახელობის ეკლესიის მოხატულობის წინასაპროექტო შეფასება

ხარჯთაღრიცხვა

№	სამუშაოების დასახელება	სრული ღირებულება ლარი
1	2	3
1	მოხატულობის დაზიანებათა ტიპების იდენტიფიკაცია	950.00
2	მოხატულობის დაზიანებათა მოცულობების განსაზღვრა	450.00
3	მოხატულობის საფუძვლის მინერალოგიური ანალიზი	950.00
4	საამშენებლო მასალის ფორიანობისა და კაპილარული შეწოვის ანალ	700.00
	საამშენებლო მასალისმოცულობითი წონისა და დასველების სიჩქარის	900.00
5	ბათქაშისა და პიგმენტების ლაბორატორიული ანალიზი	1100.00
6	ხსნადი მარილის იდენტიფიკაცია (ლაბ. ნალიზი)	700.00
7	მოხატულობის ბიოლოგიური კვლევა	600.00
8	საინჟინრო გეოლოგიური კვლევა	850.00
9	არქიტექტურული და საინჟინრო ექსპერტიზა	700.00
11	კონსტრუქციული ნაწილი	1100.00
12	სახელოვნებათმცოდნეო კვლევა	600.00
13	დოკუმენტაციის მომზადება (გრაფიკული, ფოტო)	800.00
	სულ პირდაპირი ხარჯები	10400.00
	ზედნადები ხარჯები 10 %	1040.00
	ჯამი	11440.00
	მოგება 4 %	457.60
	ჯამი	11897.60
	გაუთვალისწინებელი ხარჯები	102.40
	ჯამი	12000.00

კანცლერი ~~ეკა~~-ტრაპაიძე

გეგმა გრაფიკი

ოქროს წმ. გიორგის სახელობის ეკლესია

	თვეები	აპრილი			მაისი	
	დღეები	10	20	30	40	50
	სამუშაოების დასახელება					
1	მოსამზადებელი სამუშაოები(საარქივო მასალის დამუშავება)	■				
2	საველე სამუშაოები (ფერწერა)		■			
3	საველე სამუშაოები (არქიტექტურა)			■		
4	სახელოვნებათმცოდნეო კვლევა		■	■		
5	ლაბორატორიული კვლევა (დიაგნოსტიკა)			■	■	■
6	საბოლოო ანგარიში				■	■

კანცლერი კახა ტრაპაიძე

1129/106

საბანკო გარანტია # 1982806-2125482

თბილისი 2012 წლის 18 მაისი

სს "თიბისი ბანკი", მისი ს.ს. "თიბისი ბანკის" რუსთაველის სც #1ს ანგარიშების გახსნისა და კონსულტაციების მენეჯერი ელენე წულაია [illegible] მოქმედების რა წესდებისა და საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე, გასცემს წინამდებარე გარანტიას ქვემოთ წარმოდგენილი პირობებით:

გარანტი:	სს "თიბისი ბანკი"
პრინციპალი :	ააიპ 'აპოლონ ქუთათელაძის სახ. თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია' საიდენტიფიკაციო ნომერი: 203851545 რეგისტრაციის თარიღი: 21/03/2012
ბენეფიციარი :	საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო
გარანტიის თანხა :	600,00 (ექვსასი ლარი) ლარი
გარანტიის გაცემის საფუძველი :	"ბენეფიციარს" და "პრინციპალს" შორის გასაფორმებელი ხელშეკრულება.
	"ბენეფიციარსა" და "პრინციპალს" შორის გასაფორმებელი ხელშეკრულებით [illegible] ბენეფიციარის განსაზღვრული უფლება-მოვალეობების გათვალისწინებით წინამდებარე გარანტია მისთვის მისაღებია.
გარანტიის გაცემის წინაპირობა:	
გარანტიის ძალაში შესვლის წინაპირობა:	გარანტია ძალაში შევა მას შემდეგ, რაც "ბენეფიციარსა" და "პრინციპალს" გაფორმდება ხელშეკრულება.
გარანტიით უზრუნველყოფილი ვალდებულება:	"გარანტი" კისრულობს ვალდებულებას, ამ საბანკო საგარანტიო წერილის პირობების გათვალისწინებით, ყოველგვარი უარყოფისა და გასაჩივრების უფლების გარეშე, "ბენეფიციარის" პირველივე წერილობითი მოთხოვნის მიღებიდან ხუთი საბანკო დღის ვადაში გადაუხადოს მას გარანტიის თანხა.
გარანტიის თანხის მოთხოვნის	მიერ საგარანტიო თანხის გაცემა მოხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში თუკი დაირღვა "პრინციპალის" მიერ "ბენეფიციარის" წინაშე ნაკისრი ვალდებულება, რაც გამოიხატება შემდეგში: "პრინციპალმა" დაარღვია "ხელშეკრულებით" გათვალისწინებული ვალდებულება. ბენეფიციარმა წერილობით მოთხოვნაში უნდა მიუთითოს იმ გარემოებათა შესახებ, რაში გამოიხატა პრინციპალის მიერ ვალდებულების დარღვევა, ასევე მოთხოვნასთან ერთად გარანტს უნდა წარუდგინოს პრინციპალის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობის დამადასტურებელი მტკიცებულება ასეთის არსებობის შემთხვევაში წერილობითი მოთხოვნა თანდართულ დოკუმენტებთან ერთად (ასეთის არსებობის შემთხვევაში) წარდგენილ უნდა იქნეს სს "თიბისი ბანკის" ს.ს. "თიბისი ბანკის" რუსთაველის სც #1ს კანცელარიაში
საგარანტიო თანხის შემცირება:	საგარანტიო თანხა მცირდება „პრინციპალის" ვალდებულების დოკუმენტალურად დადასტურებული შესრულების პროპორციულად.
გარანტიის მოქმედების ვადა :	18.05.2012-დან 15.08.2012-მდე. მოთხოვნა გარანტიაზე გადახდის შესახებ "ბენეფიციარის მიერ წარმოდგენილ უნდა იქნას ამ თარიღამდე

თუ წინამდებარე საბანკო გარანტიის მოქმედების ვადაში არ იქნა წარმოდგენილი "ბენეფიციარის" წერილობითი მოთხოვნა "პრინციპალის" შეუსრულებელ ვალდებულებაზე მითითებით, თანდართული "ხელშეკრულების" ასლითა და წინამდებარე გარანტიით გათვალისწინებული სხვა დოკუმენტით (ასეთის არსებობის შემთხვევაში), მაშინ გარანტიის მოქმედება წყდება.

წინამდებარე გარანტიაზე საქართველოს სამოქალაქო კოდექსთან ერთად მოქმედებს საერთაშორისო სავაჭრო-სამრეწველო პალატის მიერ დადგენილი უნიფიცირებული წესები მოთხოვნამდე გარანტიებზე (პუბლიკაცია #458).

საბანკო გარანტიის თაობაზე წამოჭრილი ყველა დავის გადაწყვეტა მოხდება ურთიერთმოლაპარაკების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავა განიხილება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

ს.ს. "თიბისი ბანკის" რუსთაველის სც #1ს დირექტორი თინათინ კვინტრაძე